# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 326

„11" ოქტომბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

**ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, ბიოლის ქ. №1, №1თ, №1ე, №1ზ, №1ვ, №1გ, №1ა, №1ი, №1კ, №1ბ, №1დ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" მე-40 მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 4 აგვისტოს №41 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 21 სექტემბრის №04/16924 წერილის (AR1411502) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებული იქნას ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, ბიოლის ქ. №1, №1თ, №1ე, №1ზ, №1ვ, №1გ, №1ა, №1ი, №1კ, №1ბ, №1დ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1411502 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

# უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ 1 : 2000



## საპროექტო შენობების ექსპლიკაცია

1-2 სართ.

1 სართ.

## პირობითი აღნიშვნები

ექსპლიკაცია:

N

შპს "IMD"